

ჯუნი ჯუმბერ კაკულია

ღვალეთი

„საქართველოს ისტორიის ახალი აღქმის“ მომხრეთათვის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ქ. თბილისში, 1997 წელს დასტავებული როლანდ თოფჩიშვილის ნაშრომი „საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები“. ავტორი დახვეწილი ლოგიკური აზროვნებით ნათელს ჰყენს ნაშრომის სათაურშივე დასმულ საკითხს და, ამასთანავე, ეს ნაშრომი საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის ბევრ საგულისხმო ცნობას შეიცავს. ჩვენს შემთხვევაში, რ. თოფჩიშვილის მიერ ღვალეთის წარსულიდან მოძიებული მასალა გვეხმარება „საქ. ისტ. ახალი აღქმის“ უმთავრესი პრინციპის – „საქართველო ეს კოლხეთია თავისი დასავლეთით, ჩრდილოეთით, აღმოსავლეთითა და სამხრეთით“ – უკეთ გაცნობიერებაში.

რა ვიცოდით ღვალეთის შესახებ:

(ქართ. საბჭ. ენც. გ. III გვ. 490): „ღვალეები, იბერიულ-კავკასიური გომი ძე საქართველოში. ანგ. წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტოლემე) პირველად მოხსენიებულნი არიან ახ. წ. I-II სს-ში თალის, ვალის, უალის სახელწოდებით. სახლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში – დარიალის ხეობასა და მამისონის უღელგეხილს შორის – ისტ. ღვალეთში. მეცნიერები ღვალურ ენას აკავშირებენ ნახურ (ინგუშურ-ჩაჩნურ) და ქართველურ (ზანურ) ენებთან. ღვალეები ადრინდელ შუა საუკუნეებშივე მოექცნენ ერთიან ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. VI საუკუნიდან ღვალეთში ქართველი მისიონერები ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შედეგად კავკასიონის მთიან ზოლში დაიწყო მიგრაციის პროცესი: ღვალეთში სახლდებოდა ოსური მოსახლეობა, ღვალეები კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადმოდიოდნენ. XVIII ს. დასაწყისისათვის ღვალეების ასიმილაციის პროცესი დასრულდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა ქართლის, რაჭისა და იმერეთის მოსახლეობას, ღვალეთში დარჩენილი ნაწილი კი – ოს მოახალშენეებს.“ (ვ. გამრეკელი).

პლინიუსისა და პტოლემეაიოსის მიერ დაფიქსირებული „თალის“, „ვალის“, „უალის“ ქვეშ რომ ღვალეები იგულისხმებიან ნათლად გვიმტკიცებს (თოფჩიშვილი 55): „IV ს. შუა პერიოდში შედგენილი, თუმცა შედარებით უფრო ძველ წყაროებზე დაფუძნებული რომაული საგზაო რუკა – ე.წ. პეიტინგერის ტაბულა (Tabula Peutingeriana) ან კასტორიუსის რუკა, რომელზედაც ეთნონიმი „Divali“ სვანების აღმოსავლეთითაა დაგანილი და დარიალის კლდეკარის დასავლეთით მდებარე კავკასიონის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობას აღნიშნავს.“

(თოფჩიშვილი 231): „საინტერესოა აგრეთვე ს. ჯანაშიას მიერ მოყვანილი ერთი ცნობა ა. დირის წიგნიდან „Современные названия кавказских племен“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „პალასის ცნობით, აბაზები... და ჩერქეზები სამეგრელოს „დოლ“-ს (Dol) ეძახიანო, Pallas Voyages, II, p, 1788, p 120... ეს ცნობა პირდაპირ ეხმარება ჩვენს დასკვნას იმის შესახებ, რომ ღვალეები ზანებთან ახლოს მდგომი გომი იყო. ჩერქეზებისათვის იმდენად არ განსხვავდებოდნენ ღვალეებისაგან ზანები (მეგრელები), რომ მათ ერთი ეთნიკური გერმინით („დოლ“) მოიხსენიებდნენ.“

ამ ცნობებს დავუმატოთ ი. ყიფშიძის მიერ მეგრული სიგყვის „ღვალა“-ს განმარტებანი: ღვალა-ღება, გვ-ღვალა=გა-ღება, დო-ღვალა=და-ღება, მო-ღვალა=მო-ღება (ჩაცმა).

ღვალეთი უპველეს ხანაში ვრცელ გერიგორიას მოიცავდა, ხოლო ქართული ისტორიოგრაფიული მეხსიერებით იგი კავკასიის ჩრდილო კალთებზე მდ. არღონის ზემო წელში ფიქსირდება. (თოფჩიშვილი 6): „მდ. არღონის სათავე, ესაა ისტორიული ღვალეთი, რომელიც სადღეისოდ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენელია. 1859 წლამდე ეს გერიგორია საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. 1859 წლიდან მეფის რუსეთმა ადმინისტრაციულად ღვალეთი კლადიკავკაზის ოკრუგს დაუქვემდებარა“.

ისტორიულ ღვალეთს დასავლეთით უშუალოდ ესაზღვრებოდა ისტორიული სამეგრელოს ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეები რაჭა, იმერეთი და უნდა ვივარაუდოთ, რომ ღვალეთი ისტორიული სამეგრელოს (ცხუმი-გონიო-ლიხის ქედი) სამეფოს, რომელსაც ოდიტგან ემორჩილებოდა აბასგია და სვანეთი (პროკოპი კესარიელი), შემადგენელი მხარე იყო. ამ გრადიციის გამოძახილია იმერეთის (სამეგრელოს აღმოსავლეთის) მეფის ალექსანდრე III-ის (XVII ს-ის პირველი ნახევარი) გიგულაგურა: „მეფეთ-მეფე, სრულიად იმერთა, აფხაზთა, სვანთა, ღვალთა; ოსთა მპყრობელი და მართებული მეფეთ-მეფე“. რ. თოფჩიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ ამ გიგულაგურაში გარკვევით იკითხება: „ღვალეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო, ხოლო ოსეთი ქართველ მეფეებს დაჭერილი, დაპყრობილი ჰქონდათ“. ხოლო „საქ. ისტ. ახალი აღქმის“ პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ გიგულაგურაში აფხაზეთის ქვეშ XVII საუკუნისათვის უკვე აფსუეთი (აბასგია) იგულისხმება და სახელწოდება „იმერეთი“ კი ფარავს საკუთრივ იმერეთს, ოდიშს, გურიას, რაჭას, ლეჩხუმს, ერთიან სივრცელ, ანუ ჯერ კიდევ შერჩენილია ძველი ცოდნა, რომ ეს მხარეები ჩვენი ქვეყნისა წარმოადგენდნენ ერთიანი გომობრივი გაერთიანების ადმინისტრაციულ დანაყოფებს, ხოლო ღვალეები მიუხედავად დიდი სიახლოვისა მეგრულ სამყაროსთან, სვანთა მსგავსად, ინარჩუნებდნენ თავიანთ გომობრივ განსხვავებულობას (თუნდაც იმას, რომ XVII საუკუნისათვის ღვალეთში ნახურთან ერთად ძლიერი იყო ოსთა გავლენა).

კავკასიის ჩრდილოეთით ქართული ფესვების ძიებისას უნდა გვახსოვდეს გერმანელი მეცნიერის ვიულდენშტედტის ცნობა: „კავკასიელ მთიელთა შორის, განსაკუთრებით ლეკებსა და ოსებში არიან ბევრი ქართველები, რომლებმაც რელიგიასთან ერთად, ენაც დაივიწყეს“.

(თოფჩიშვილი 25): „ღვალთა ეთნიკური ვინაობის გასარკვევად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ანთროპონიმებს. ჩვენი ყურადღება მიიქცია XIX ს-ის პირველი ნახევრის ღვალეთის, კერძოდ, ნარას ქვაბულის მოსახლეობის აღწერის მასალებმა, რომელიც ჯერ კიდევ ამ დროს თბილისის გუბერნიაში შედიოდა. ამ დროისათვის აქ უკვე ჩამოყალიბებული ოსური მოსახლეობა გვქონდა. აღწერილი არიან მხოლოდ მამრობითი სქესის პიროვნებები (ოსები) სახელითა და გვარით. ირკვევა, რომ მამაკაცთა გარკვეულად დიდი ნაწილი ღვალეთში (ნარაში) XIX ს-ის პირველ ნახევარში ქართველურ (დასავლურ ქართულ) საკუთარ სახელებს ატარებდა. მანამ სანამ ამ სახელებს ჩამოვთვლით, უნდა გავუსწროთ მოვლენებს და დავსვათ კითხვა: რაგომ იყო ღვალეთში გავრცელებული დასავლური ქართული სახელები? (კანონიზებულ ქრისტიანული ქართული სახელები ბოლო დრომდე ნაკლებად იყო გავრცელებული, აგრეთვე, საქართველოს მთელ მთიანეთში და სამეგრელოში. აქ ძირითადად ყველგან იხმარებოდა ძველი ქართულ-ქართველური საკუთარი სახელები). ჩვენი აზრით, აღნიშნულის მიზეზი უბრალოდ იყო ის, რომ ღვალეები დასავლურ ქართულ გომებთან ახლოს მდგომი გომი იყო და მათ, მიუხედავად ოსებთან ეთნიკური ასიმილაციისა, გრადიციის ძალით, შეინარჩუნეს თავდაპირველი ქართველური (კოლხური-ჯ.კ.) სახელები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და რომლებიც დიდი მდგრადობით გამოირჩეოდნენ. სხვათაშორის, ასეთი ქართველური სახელების ღვალეთში

შემონახულობა იმაზედაც უსვამს ხაზს, რომ აქ ქრისტიანობა მაინცდამაინც ისე მტკიცედ არ იყო შემოსული (როგორც მთიანეთის ყველა სხვა რეგიონში), როგორც ამას ვ. გამრეკელი ფიქრობდა. ქართველურძირიანი არაერთი ოსური გვარიც გვაქვს, რომლებიც, რა თქმა უნდა, დვალეთში წარმოიქმნენ მათი აქ მოსვლა – მიგრაციის შედეგად.

1814 წლის მოსახლეობის აღწერაში... სოფ. კულბითში მითითებულია Нарский Темо Бегелаური“. ყურადღებას იქცევს ამ ოსი პიროვნების როგორც სახელი, ისე გვარი. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის, რომ სოფ. კულბითში გეტო ბელელური ნარადან (დვალეთიდან) არის გადმოსახლებული. ბელელური დვალეთის ერთ-ერთი ძირძველი, ადგილობრივი გვარი იყო. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ გვარი სუფთა ქართულია. მას ძირიც და სუფიქსიც (-ურ) ქართული აქვს. ბელელურის გვარი ნაწარმოებია საქართველოს მთისათვის (მთის გვარებისათვის) მახასიათებელი -ურ ფორმანგით და ფუძედ აქვს მამაკაცის ძველი ქართული სახელი „ბელელა“. რაც შეეხება სახელს „გეთო“, ეს სახელი ბოლო დრომდე უაღრესად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. შდრ. აგრეთვე გვარები: გეთია და გეთიაშვილი.

ნარაში (დვალეთში) მკვიდრობდნენ გოგიჩაიშვილებიც. გვარს საფუძვლად უდევს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა პროვინციაში გავრცელებული მამაკაცის სახელი, „გოგიჩა“, რაც გოგის კნინობითი ფორმაა (შდრ. ხვიჩა, ბაკიჩა, ყაყაჩა...)

ფიქრობთ არავითარი კომენტარი არ სჭირდება ისეთ სახელებს, როგორცაა გუხია, ბიძინა, ჩინელი, ფრანგა, ბაგია. დვალეთის ოსებში გავრცელებული სახელი იყო „ჩიჩო“ (შდრ. გვარი „ჩიჩუა“), „ბახა“ (შდრ. გვარი „ბახია“) „ხუჭა“ (შდრ. გვარი „ხუჭუა“), „ლოჩი“ (შდრ. გვარი „ლოჩია“), გურიასა და აჭარაში „ლოჩი“ ბოჩოლას, ერთი წლის ან ცოტა ნაკლები ხნის ხბოს, დეკეულს ეწოდებოდა. ქართლში კი „ლოჩო“ უეშმაკო ადამიანის სინონიმია), „ჯახი“ (შდრ. გვარი „ჯახია“), „ჩოჩი“ (შდრ. გვარი „ჩოჩია“). უდავოა, რომ ოსი ჩოჩიეები ძირად დვალეები არიან. დვალეთში მცხოვრებ ამ გვარს, სხვა ოსური გვერებისაგან განსხვავებით, არა აქვს გადმოცემა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლების შესახებ. როგორც საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა ქართლელი ჩოჩიშვილები უფრო ადრე ოქროპირიძის გვარს აგარებდნენ. ქართლში არის ჩოჩიშვილის გვარიც (სოფ. ცხრამუხა), რომელთა თავდაპირველი გვარი, როგორც გადმოცემით, ისე საარქივო მონაცემებით (1859 წ. აღწერა) ქურდაძე ყოფილა... ქართლში მცხოვრები ჩოჩიშვილების გარკვეული ნაწილი ხევის სოფ. ხურთისიდანაა მიგრირებული, რომელნიც XVIII ს-ის აღწერის დავთარში ჩოჩოურად არიან ჩაწერილი. 1860 წლის მოსახლეობის კამერალური აღწერით ირკვევა, რომ ვანათელი ჩოჩიშვილების ადრინდელი ქართული გვარი ყოფილა მაისურაძე... 1621 წელს სოფელ საჩხურში ფიქსირებულია ამავე ძირის სხვა გვარიც – ჩოჩივაძე. გვაქვს აგრეთვე გვარსახელები ჩოჩელი და ჩოჩნიძე. ჩოჩიას, ჩოჩიშვილს, ჩოჩოშვილის, ჩოჩივაძის გვარებს საფუძვლად უდევს ძველი ქართული სახელი „ჩოჩი“. ეს სახელი დღესაც შემორჩენილია სამეგრელოში. არაერთგზის გვაქვს ეს სახელი (ჩოჩი) ამოწერილი 1904 წლის სამეგრელოს მოსახლეობის აღწერიდან. (ი. ყიფშიძის მიხედვით: ჩოჩი: ჩოჩუა, მილა-ჩოჩუა; აქედანაა ქართულში მი-ჩოჩი-და სელოვნური ფონეტიკური პროცესის შედეგად (ჩ>ც) მეგრ. ჩოჩუადან მივიღეთ ქართ. ცოცვა ჯ.კ.) ჩოჩიშვილების გვარი ერთ-ერთი ძველი ქართული გვარია, ამას ადასტურებს 1031-1033 წ.წ. საისტორიო საბუთში სოფ. ჩოჩეთის მოხსენიება... სხვათა შორის, ნარას ერთ-ერთ სოფელში ჩოჩიშვილებთან ერთად ცხოვრობდნენ: გოგიჩაიშვილები, ჯანაშვილები (ჯანაშია ჯ.კ.) და ბერიშვილებიც (ბერია, ბერიძე... ჯ.კ.) „ფალი“ (შდრ. სვანური გვარი „ფალიანი“) . დვალეთის ოსებში გავრცელებულ გვარს „გუჩაშვილს“ იგივე გუცაშვილს

(გუცაევს) საფუძვლად უდევს ბოლო დრომდე სამეგრელოში გავრცელებული ქალის სახელი „გუჩა“ (შდრ. გვარი „გუჩუა“). ამავე ძირისაა მეგრული სახელი „გუძა“. ქართლშიც ბოლო დრომდე მეგსახელად გავრცელებული იყო სახელი „გუცა“. დვალეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსებში გავრცელებული სახელი იყო „გუგუნა“ (ეს იგივე „გუგუაა“). გვიან დრომდე მამაკაცის სახელი „გუგუნა“ გავრცელებული იყო იმერეთშიც... სახელი გუგუმა კი დღესაც გავრცელებულია სამეგრელოში. შდრ. გვარი „გუგუნავა“. XIX ს-ის პირველი ნახევრის დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსი მოსახლეობის აღწერიდან არაერთხელ მაქვს ამოწერილი მამაკაცის სახელი „გოჩი“, (შდრ. მეგრული სახელი „გოჩა“), აგრეთვე „გულუნი“ (გავრცელებული სახელი იყო სამეგრელოშიც), „სალა“ (შდრ. გვარი „სალია“).

ოსურ გვარს „ფილიევს“ ექვივალენტი აქვს ქართულში: ფილია-ფილაური-ფილიშვილი. XIX ს-ის აღწერებიდან ამოწერილი მაქვს ოსური გვარი „ქორთიშვილი“ (სოფ. კოშკაში) – შდრ. მეგრული გვარი „ქორთუა“ (ასევე ისგ. სამეგრელოში კლარჯეთსა და რაჭაში სოფლები სახელწოდებით „ქორთა“ ჯ.კ.)

ნარის (დვალეთის) სოფ. ჯაჩიში ცხოვრობდნენ „ხასიშვილები“ (დღევანდელი ხასიევეები) – შდრ. მეგრული გვარი „ხასია“. ნარაშივე სოფ. გინათში მკვიდრობდნენ „გულაშვილები“. თერგის ხეობის სოფ. მნაში 1774 წელს „გულიაურად“ ეწერნენ – შდრ. გვარები გულავა, გულაძე. მამაკაცის სახელი „გულა“ გვხვდება XV-XVI სს-ის ერთ სვანურ საბუთში... აქვე მკვიდრობდნენ ქალაშვილებიც.

საქართველოში მცხოვრებ ოსებში გავრცელებული გვარია „კოჩიევი“. გვარს საფუძვლად უდევს მეგრული სახელი „კოჩი“, რაც მამაკაცს ნიშნავს (იგივეა, რაც ქართული „ყოჩი“). ოსებში დამოწმებული გვაქვს კაცის სახელი „კაჩა“. (იგივე „კოჩა“) – შდრ. გვარები „კაჩია“ და „კაშია“. გვექონდა გვარი „კოჩაძე“. შეიძლება ითქვას, რომ XVI-XVII სს-ის სამეგრელოში მამაკაცის სახელებს შორის „კოჩი“ და მისგან შედგენილი სახელები ყველაზე გავრცელებული იყო. შეიძლება დავასახელოთ: „კოჩა“, „კოჩია“, „კოჩილე“, „კოჩილუა“, „კოჩიარა“, „კოჩიორე“, „კოჩილა“ „კოჩილეი“, „უჩაკოჩი“, „ქეკოჩაი“, „ჯგეკოჩაი“, „კაკაკოჩი“, „ვაეიკოჩი“, „ჯგერეკოჩი“, „ბაბაკოჩი“, „წიწიაკოჩი“, „წიწაკოჩი“, (ქართული სამართლის ძეგლები ტ. III). XIII ს-ის სვანეთის სულთა მაგიანეში რამდენიმე გზის ფიქსირებულია გვარი „კოჩიანი“.

ნარელი ოსები XIX ს-ის დასაწყისში აგარებდნენ აგრეთვე სახელებს: „თავქანა“, (თავქალა) „ბაბა“, „გოჩა“, „კოჩი“, „გალახა“, „ჩაბა“ (შდრ. გვარი „ჩაბაკაური“. „ჩაბა“ იგივეა, რაც „ჭაბა“. აქედანაა გვარი „ჭაბაშვილი“), „კული“, „ტილა“, „გულა“.

ოსური გვარი ხაბელოვი ქართული გვარისაგან (ხაბელაშვილი) მომდინარეობს. ბოლო დრომდე ამ გვარის ფუძესახელი (ხაბელა, ხაბა) გავრცელებული იყო, როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. სახელი „ხაბა“ გვხვდება XIV ს-ის ერთ სვანურ საბუთში... შიდა ქართლში მცხოვრები ხაბარელებიც ძირად დვალეები არიან.

თრუსოს სოფ. შევარდენის XIX ს-ის აღწერის დავთარში გვხვდება მამაკაცის სახელი „უძილა“... აქვე სოფ. ოქროყანაში – „კიგრია“. თრუსოს სოფ. ბურმასიკაში დასახელებულია გვარი „Табавев“, რომელიც, რა თქმა უნდა, ქართული სახელიდან („თავა“) მომდინარეობს. აქვე გავრცელებული სახელები იყო: „რუხია“ („რუხი“ სოფლისა და ციხე-სიმაგრის სახელწოდება ზუგდიდის რ-ნში, გვარები „რუხაია“, „რუხაძე“ ჯ.კ.) „შავექალა“, „ხარა“ (ქალისა), „გაბა“ (კაცისა), შდრ. სვანური გვარი „გაბიანი“, არის ოსური გვარიც „გაბიევი“.

დვალეთში ყაბარდოდან მოხულ ხეთავს ჰყოლია შვილი ჯარჯი. ჯარჯის შვილებს კი რქმევიათ „მამია“ და „მამი“. პირველის ოთხი ვაჟიდან ორი „ჯანა“-სა „გოცი“-ს სახელებს აგარებდა. ხეთავის შთამომავალთა შორის ასახელებენ

აგრეთვე „ძუ“-ს (შდრ. „ძუკუ“)... დვალეთის მახას ხეობის თავდაპირველი მკვიდრნი იყვნენ კესაელები, რომლებიც, როგორც ჩანს, ყესაურები (იგივე ქესაურები) უნდა ყოფილიყვნენ. დვალეთიდან მიგრირებული ქესაურების რამდენიმე ოჯახი ახლა შიდა ქართლში მოსახლეობს. ქესაურების შთამომავალი (უფროსი შვილი) ყოფილა „ხერხა“, რომლის შთამომავალნი ყოფილან ქართველი თავადები ხერხულიძეები, ამ გვარის თავდაპირველი ფორმა კი ხერხული ყოფილა. ჩანს, გვიან დაემატა — ძე. ეს ეთნოგრაფიული მასალა იმიტომ მოვიგანეთ, რომ გვეჩვენებინა დვალეთში ქართული ანთროპონიმების პრიორიტეტულობა. ოსი თავის შვილს „ხერხა“-ს როდი დაარქმევდა.

შიდა ქართლის მთიანეთის ოსური მოსახლეობის 1860 წლის აღწერაში დამოწმებული გვაქვს სახელი „გულა“. შდრ. გვარები „გულია“, „გულუა“, „გულიაშვილი“, სახელი „გულა“ გავრცელებული იყო სამეგრელოსა და სვანეთში. (სწმ. I, გ. 197)

დიდი ლიახვის ხეობის სოფ. გონგობეთში მკვიდრობდა გერგაულების გვარი, რომლებიც გვიან გერგალოვებად იქცნენ. ისინიც ძირად დვალეები არიან. გვარი ნაწარმოებია ქართული სუფიქსით (-ულ) და საფუძვლად უდევს ასევე ბოლო დრომდე სამეგრელოში გავრცელებული სახელი „გერგა“, „გერგო“. სვანურ საისტორიო საბუთებში გვხვდება: „გერგილედა“... სვანეთშივეა დადასტურებული „გერგილ“, სამეგრელოში — გერგებე, გერგებ, გერგობე (აქედან რაჭაში გავრცელებული გვარი — გეოგობიანი ჯ.კ. გეოგია... ამავე ძირისაა „გერგაია“, გერგელავა“ (ყველა აქ წარმოდგენილი სახელწოდებები ნარმოებია წმინდა გიორგის მეგრული სახელწოდებიდან — „გერგე“. არსებობდა ასევე სხვა ფორმებიც — გეგე, ჯგეჰე, ჯგეგე, ჯეგე — ჯ.კ.)

შესადარებლად კიდევ შეგვიძლია მოვიგანოთ „ჯახა“ (ოსური სახელი) და მეგრული გვარი „ჯახია“, „ბება“ (საქართველოში მცხოვრებ ოსებში გავრცელებული) და გვარები „ბებია“, „ხარება“ (დვალეთსა და შიდა ქართლის მთიანეთის ოსებში გავრცელებული მამაკაცის სახელი), და გვარები „ხარებავა“ და „ხარებაშვილი“.

„ყანჩავა“ (ასევე საქართველოში მცხოვრებ ოსებში XIX ს-ში დადასტურებული) და გვარი „ყალიჩავა“ (ასევე „ყანჩაველი“). სახელი „თელა“ და სამეგრელოში გავრცელებული გვარია „თელია“... ოსური სახელი „გაბიჩა“ და გვარი „გაბიჩვაძე“. „ვილა“ (ბოლო დროს ოსებში გავრცელებული სახელი) და ქართული გვარები: ვილაური და ვილაშვილი.“

ჩვენ აქ შევწყვიტოთ მსგავსი მაგალითების ციტირება რ. თოფჩიშვილის ნაშრომიდან, ვინაიდან ვიმეორებთ, რომ ამ ნაშრომში მოცემულ მასალას სრულიად უნდა გაეცნოს ყველა საქ. ისტორიით დაინტერესებული პირი, ამ მდიდარი მასალის საფუძვლიანი ანალიზის შემდგომ რ. თოფჩიშვილი მიდის აუცილებელ დასკვნამდე:

(თოფჩიშვილი 16): „თითქმის მთლიანად სიყალბეზე და არერაელურ ისტორიულ ფაქტებზეა აგებული ოსეთ-საქართველოს (ოსებისა და ქართველების) ხანგრძლივი ურთიერთობა. იგი ახლიდან შესწავლას მოითხოვს. ერთ მაგალითად შეიძლება დასახელებულ იქნეს ზოგიერთი ოსი ავტორის მიერ XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში ოსთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით წარმოდგენა და მათი საერთო რაოდენობის ხან 6 000 და ხან 7 000 კომლად მიჩნევა. რეალურად კი XVIII ს-ის დასასრულს დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე 2 130 კომლი (15 000-მდე სული) ოსი მკვიდრობდა.“

სიყალბე არამარტო ზოგიერთი ოსი ავტორის ნაშრომებში უნდა ვეძიოთ, არამედ ჩვენშიც და რისი უპირველესი მაგალითიც „ქართლის ცხოვრებაა“, ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ „საქ. ისტ. ახალი აღქმის“ პირველ ნაწილში განხილულ მაგალითებს იუ როგორ ცდილობენ „ქართლის ცხოვრების“ ავტორები წარმოვ-

მდგომარეობით ქართლში. ლეკიანობის შედეგად უფრო მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი კახეთის ბარი, მაგრამ კახელებს ლეკები თავის ნებით არ ჩამოყავდათ კახეთში დასასახლებლად. ქართლში კი გამოდიოდა, რომ მოძალადე ოსებს ქართლის მთიელებს ჯერ გავაოსებინებდით და შემდგომ გაოსებულ ქართლის მთიელებს ვასახლებდით ბარში. ოსების ჩამოსახლება ეს იყო ქართლის სამეფო კარის პოლიტიკის შედეგი და სამართლიანად შენიშნავს რ. თოფჩიშვილი, რომ: „სხვათაშორის, მთელ შიდა ქართლში XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის პირველ ნახევარში იმდენად მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია გვექონდა, იმდენად იყო შიდა ქართლი ქართული მოსახლეობით გამეჩხერებული, რომ ქართლის მთიანეთსა და ბარს, ალბათ, ოსები უფრო მეტად დაიკავებდნენ, პარალელურად საქართველოს სხვა პროვინციებიდან (ჯავახეთი, გემო იმერეთი, რაჭა) ქართველები რომ არ გადმოსახლებულიყვნენ“.

ოსებს სხვა კავკასიელთა მიწა-წყლის ათვისებაში დიდ დახმარებას ასევე რუსეთის იმპერია უწევდა.

(თოფჩიშვილი 220): „XVIII ს-ის დასარულიდან ფაქტიურად შეწყდა ოსთა მიგრაცია ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი ხეობებიდან საქართველოს მიმართულებით, რადგან რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ მათ დასახლების საშუალება მისცა ჩრდილოეთ კავკასიის ბარის რაიონებში“.

ქართლის სამეფო კარის პოლიტიკის შედეგად თუ ქართლის ჩრდილოეთი ოსდებოდა, ქართლის სამხრეთში გაჩაღებული იყო ქართველთა გასომხება. ამის შესახებ მდიდარი მასალებია მოძიებული და მხოლოდ ერთ ფაქტს გავახსენებთ. XVII საუკუნისათვის ქართველთა გასომხებამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ კათოლიკეთა არქიმანდრიგმა ნიკიფორე ირბახმა რამდენჯერმე შესჩივლა რომს – საქართველოში ქართველებს არა თუ ათათრებდნენ, არამედ ასომხებენ კიდევც. „სომხები ქართველ მეზობლებისაგან ყიდულობენ მიწებს გლეხებითურთ და შემდგომ ისინი თავიანთი რჯულზე გადაჰყავთო“. (ი. ახუაშვილი). ეს თემა ბევრად ვრცელ მსჯელობას მოითხოვს და ამდენად დავუბრუნდეთ ჩვენს უმთავრეს თემას – დვალეთს.

(თოფჩიშვილი 223): „დვალეთი საქართველოს პირველი რეგიონი იყო, რომელმაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების მოწოლა განიცადა. ოსთა მოწოლამ (ლაშქრობა-თავდასხმებმა) დვალეები აიძულა საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, რაჭა, იმერეთი) გადასახლებულიყვნენ. დვალეთში ოსების პირველი შემოქონვა XV ს-ის ბოლოს მოხდა. მათი მიგრაცია აქ კი ძირითადად XVI ს-ში განხორციელდა და გრძელდებოდა XVII ს-შიც ჩრდილოეთ კავკასიის ალაგირის ხეობიდან. ადგილზე დარჩენილი დვალეები მიგრანტი ოსების ენობრივ-ეთნიკურ გარემოში გაოსდნენ. დვალთა გაოსების პროცესი ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაცია რამდენიმე თაობის მანძილზე მიმდინარეობდა. XVII ს-ის დასასრულს დვალეები უკვე გაოსებულნი იყვნენ, თუმცა, შეიმჩნევა, რომ XVIII ს-ის პირველ მეოთხედში მათ მცირე ნაწილს თავისთავადობა კვლავ ჰქონდა შენარჩუნებული. როგორც ხშირად ხდებოდა ისტორიაში, მოსულმა ოსებმა დამხვედური გომის – დვალეების თვითსახელწოდება მიიღეს.“

საისტორიო წყაროების, საბუთების, გოპონიმების, ანთროპონიმების კომპლექსურმა შესწავლამ მოგვცა საშუალება დაგვესკვნა, რომ დვალეთი არამარტო პოლიტიკურად, კულტურულ-რელიგიურად, არამედ ეთნიკურადაც ქართულ-ქართველური იყო. დვალეები მანებთან ახლოს მდგომი გომი იყო, თუმცა მანების (მეგრელების) სრულ ასლს როდი წარმოადგენდნენ. ისინი მანებსა და სვანებს შორის მდგომი ერთ-ერთი ქართველური გომი იყო და ლაპარაკობდნენ დამოუკიდებელ, ერთ-ერთ (აწ გადაშენებულ) ქართველურ ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტი საერთო მანურთან (მეგრულთან) ჰქონდა. ასე, რომ დვალეები არ ყოფილან

არც ვაინახები, და მით უმეგეს, არც ოსები, თუმცა, როგორც მეზობლების, ვაინახებისა და დვალეების ურთიერთშერევა საგულვებელია. ასეთი ურთიერთშერევა ხომ კავკასიის არაერთი ხალხისათვის ხაგნრძლივი ისტორიის მანძილზე დამახასიათებელი იყო“.

ჩვენ სრულად ვეთანხმებით რ. თოფჩიშვილის დასკვნას, რომ დვალეები მეგრელებთან ახლოს მდგომი გომი იყო და ჩვენი მოსაზრებებიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დვალეები, მსგავსად თუშებისა, წანარებისა, სვანებისა, ჭანებისა, მეგრელებისა, მესხებისა, ჰერებისა, წარმოადგენდნენ ერთ-ერთ კოლხურ გომს. ამას გვიდასტურებს ჰაიკთა და ოსთა მეცყველებაში მეგრული ფენის არსებობა. ჰაიკთა მეცყველებაში მეგრული ანუ კოლხური ფენა დამკვიდრდა არა მეგრულთაგან, რომლებიც უშუალოდ არც ესაზღვრებოდნენ ჰაიკებს, არამედ მესხთაგან. როგორც სტრაბონის ცნობით ვიცით, მესხეთი, ეს ისტორიული კოლხეთი, ჯერ კიდევ I საუკუნისათვის გაყოფილ იქნა სამეგრელოსა, იბერიასა და ჰაიასგანს შორის. ამრიგად, მესხთა ნაწილი ჰაიკი ერის შემადგენელი გახდა და აქედან უნდა ვივარაუდოთ ჰაიკთა მეცყველებაში კოლხური ფენის არსებობა. მსგავსად, ოსთა მირ კოლხური გომის დვალთა ნაწილის გაოსების შემდგომ უნდა დამკვიდრებულიყო ოსთა მეცყველებაში კოლხური და არა მეგრული ფენა. „საქართველოს ისტორიის ახალი აღქმის“ მეორე ნაწილში შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ, რომ სრულიად საქართველოს დიალექტებს ასევე აერთიანებს საერთო კოლხური გრამატიკული ნორმები, რომლებიც კოლხურ გომთა გამაერთიანებელი ქართული ენისათვის არქაიზმებს წარმოადგენენ.

საქართველოს აღმოსავლეთის კოლხეთად აღქმა გვიადვილებს ჩვენი უძველესი საერთო კოლხური წარსულის მასშტაბურობის წარმოჩენას.

(თოფჩიშვილი 231): „ამჟამად, რომ დვალეები და წანარები (წანები) აღრე უფრო ფართო გერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი, როგორც კავკასიონის აქეთ, ისე იქით (ჩრდილოეთით). სწორედ ეს ორი მონათესავე გომი (დვალეები და წანარები – (წანები) უნდა ყოფილიყო ყობანური კულტურის შემქმნელი და რომლებიც თავისი ეთნიკური იერსახით ახლოს იდგნენ სვანთა და ზანთა ქართველურ გომებთან“.

(ქართ. საბჭ. ენც. გ. X გვ. 658): „ყობანური კულტურა, ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახ. არქეოლოგიური კულტურა, რომელიც გავრცელებული იყო ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. სახელი ეწოდა სოფ. ყობანის (ჩრდილო ოსეთი) მიხედვით, სადაც 1869 წელს პირველად აღმოჩნდა ქვაყუთები. 1877-80 ჩაგარდა არქეოლოგიური გათხრები... მისთვის დამახასიათებელია ბრინჯაოს ცულები, აბზინდები, ფიბულები, სამაჯურები და სხვ. რომლებიც შემკულია გეომეტრიული და ცხოველური ნაგიფი სახეებით. აგრეთვე კერამიკა...“

ყობანური კულტურის წარმომავლობაზე სხვადასხვა მოსაზრებაა: კოლხური და ყობანური კულტურები ერთგვაროვანია (ბ. კუფტინი): ყობანური კულტურის ცენტრი კოლხეთია (ა. იესენი, ი. მეშჩანინოვი, მ. ივაშჩენკო, ლ. მუსხელიშვილი); კოლხური და ყობანური კულტურები ორი სხვადასხვა კულტურაა (ო. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი, დ. ქორიძე, ბ. ტეხოვი). აღსანიშნავია, რომ ყობანური კულტურა ცნობილია მხოლოდ სამარხული კომპლექსებით. ყობანური კულტურა კოლხური კულტურის ბოლო ეტაპის თანადროულია... (ლ. ფანცხავა).“